ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 13

<u>საქონლის მომსახურეობა</u>

<u>გამარტივებული შესყიდვა</u>

ქ. ზესტაფონი 20 თებერვალი 2017 წელი

ერთის მხრივ, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის-,,ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრის" უფროსის მოვალეობის შემსრულებლის გიორგი ორბელაძის (მისამართი: ქ. ზესტაფონი წერეთლის ქ №11 შემდგომში – შემსყიდველი)სახით და მეორეს მხრივ შპს ,,ეეო ჰაერის დირექტორის გაგა პაპიძ"-ის სახით ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე :

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი" – წინამდებარე ხელშეკრულების 2.1 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. *ხელშეკრულების საგანი*

2.1 ხელშეკრულების საგანია ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით საქონლის მომსახურეობა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურისათვის თხევადი ჰაერის შესყიდვა. შესყიდვის დანაყოფის კოდი 24113100, 24111900 .

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.

3.2. შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება 50 (ორმოცდაათი) ლარი.

ჟანგბადი ბალონებით 8 კგ; ერთეულის ღირებულება 1,8750 ლარი; სულ 15 ლარი;

თხევადი ჰაერი 10 კგ; ერთეულის ღირებულება 3,50 ლარი; სულ 35 ლარი;

24113100 კოდით ---------- 15 ლარი.

24111900 კოდით ---------- 35 ლარი;

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები

6.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა განისაზღვრება 2017 წლის 20 თებერვლიდან 2017 წლის 25 თებერვლამდე.

7.ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც მომსახურეობის გაწევის დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

7.2 მომწოდებლის მომსახურების კონტროლს განახორციელებს ზესტაფონის ააიპ დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სერვის ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2015 წლის 07 ივლისის #120 ბრძანებით შექმნილი კომისია.

8 ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი

8.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

8.2. შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშწორებით.

8.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესრულებული სამუშაოს მიხედვით მიმწოდებლის მიერ სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ არაუმეტეს 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში..

9 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ

დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

10. *ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა*

10.1 ხელშეკრულებით განსაზღვული პირობების დარღვევის შემთხვევაში ან ვადის გადაცილების შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე საერთო ღირებულების 0,1%.

10.2. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2017 წლის 20 თებერვლიდან 2017 წლის 31 მარტამდე.

12. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

12.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13. ფორს-მაჟორი

13.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

13.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

13.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

14.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

14.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15. სხვა პირობები

15.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

15.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

15.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

15.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე

15.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

16. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:
არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი–
„ზესტაფონის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის
სერვისცენტრის უფროსის მ/შ
გიორგი ორბელაძე

_____

სახელმწიფო ხაზინა
ს/კოდი: 430024555
მის: ქ.ზესტაფონი ფარნავაზის ქ.№2
ა/ა № GE 44LB0115144123767000
ტელ: 595-03-01-50

მომწოდებელი
შპს "ჯეო ჰაერის" დირექტორი
გაგა ბაბაიძე

_____

სს „საქართველოს ბანკი "
ზესტაფონის ფილიალი
ბანკის კოდი BAGAGE22
ა/ა № GE78BG0000000568225600
ს/კოდი: 430032270
მის: ქ. ზესტაფონი სტაროსელსკის ქ. №17
ტელ: 595-75-29-70